

**შპს „თბილმიკროკრედიტი“
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია**

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	19
5. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	20
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
7. გაცემული სესხები	22
8. ძირითადი საშუალებები	24
9. სხვა აქტივები	25
10. საწესდებო კაპიტალი და სხვა რეზერვები	25
11. მიღებული სესხები	25
12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	25
13. სხვა საოპერაციო შემოსავალი	26
14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26
15. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	26
16. ადმინისტრაციული ხარჯები	26
17. ფინანსური რისკების მართვა	27
18. კაპიტალის ადეკვატურობა	30
19. დაკავშირებული მხარეები	31
20. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები	31
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დათავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ აზარცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“-ს საბოლოო ვარიანტი, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, რომელიც ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ წლიურ პერიოდებს. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის. კომპანიამ საექვო ვალების ანარიცხების დათვლისას იხელმძღვანელა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად და არ გაითვალისწინა ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების სახელმძღვანელო, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება სწორად არის დაანგარიშებული ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ჩვენ ვერ შევძელით განვესაზღვრა აღნიშნულის ეფექტი საკრედიტო ზარალზე 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის და შესაბამისად გაცემული სესხების წმინდა ნაშთზე 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია არ განსაზღვრავს ფასს სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად აღიარებული შემოსავლების და ხარჯების სხვაობის ეფექტს და არ აღიარებს შესაბამის გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯს ან შემოსავალს და გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს ან ვალდებულებას. ჩვენ ვერ შევძელით გავვესაზღვრა აღნიშნულის ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც ფუნქციონირებადი საწარმოს აზარცში აღნიშნულია რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,229,332 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მთლიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 248,604 ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 და 21-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 15 ივნისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება ფასს 9-ის მიხედვით გაუფაზურების ზარალის რეზერვებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან შესაბამის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ▶ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

31 მაისი, 2020

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ აზარცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“-ს საბოლოო ვარიანტი, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, რომელიც ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ წლიურ პერიოდებს. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის. კომპანიამ საეჭვო ვალების ანარიცხების დათვლისას იხელმძღვანელა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად და არ გაითვალისწინა ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების სახელმძღვანელო, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება სწორად არის დაანგარიშებული ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნულის ეფექტი საკრედიტო ზარალებზე 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის და შესაბამისად გაცემული სესხების წმინდა ნაშთზე 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია არ განსაზღვრავს ფასს სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად აღიარებული შემოსავლების და ხარჯების სხვაობის ეფექტს და არ აღიარებს შესაბამის გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯს ან შემოსავალს და გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს ან ვალდებულებას. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნულის ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც ფუნქციონირებადი საწარმოს აბზაცში აღნიშნულია რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,229,332 ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მთლიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 248,604 ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 და 21-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 15 ივნისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება ფასს 9-ის მიხედვით გაუფაზურების ზარალის რეზერვებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან შეუსაბამო მარეგულირებელი ნოტმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

31 მაისი, 2020

თბილისი, საქართველო

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს "თბილმიკროკრედიტი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	542,086	11,029,584
ფასიანი ქაღალდები		40,533	52,869
გაცემული სესხები	7	1,212,575	6,843,989
სხვა აქტივები	9	379,183	350,115
წინასწარ გადახდილი გადასახადები		16,436	24,198
ძირითადი საშუალებები	8	332,091	362,790
არამატერიალური აქტივები		31,101	26,366
სულ აქტივები		2,554,005	18,689,911
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,943,508	1,943,508
სხვა რეზერვები	10	335,180	335,180
აკუმულირებული ზარალი		(2,527,292)	(297,961)
სულ კაპიტალი		(248,604)	1,980,727
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	2,796,128	16,692,239
სხვა ვალდებულებები		6,481	16,945
სულ ვალდებულებები		2,802,609	16,709,184
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,554,005	18,689,911

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “თბილმიკროკრედიტი”
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	542,086	11,029,584
ფასიანი ქაღალდები		40,533	52,869
გაცემული სესხები	7	1,212,575	6,843,989
სხვა აქტივები	9	379,183	350,115
წინასწარ გადახდილი გადასახადები		16,436	24,198
ძირითადი საშუალებები	8	332,091	362,790
არამატერიალური აქტივები		31,101	26,366
სულ აქტივები		2,554,005	18,689,911
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,943,508	1,943,508
სხვა რეზერვები	10	335,180	335,180
აკუმულირებული ზარალი		(2,527,292)	(297,961)
სულ კაპიტალი		(248,604)	1,980,727
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	2,796,128	16,692,239
სხვა ვალდებულებები		6,481	16,945
სულ ვალდებულებები		2,802,609	16,709,184
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,554,005	18,689,911

ხელმოწერილია და ნებდართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს "თბილმიკროკრედიტი"
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		1,076,777	2,224,870
საპროცენტო ხარჯი		(879,527)	(1,186,681)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	12	197,250	1,038,189
საკრედიტო ზარალი	7	(1,134,557)	(468,994)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)		(937,307)	569,195
საკრედიტო ზარალის შემდგომ			
მიღებული ჯარიმები და საურავები		67,558	92,231
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	36,996	241,017
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14	82,186	702,430
არასაპროცენტო შემოსავალი		186,740	1,035,678
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	15	(813,446)	(271,039)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(40,596)	(128,978)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(624,723)	(956,061)
არასაპროცენტო ხარჯი		(1,478,765)	(1,356,078)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(2,229,332)	248,795
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(118,770)
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,229,332)	130,025
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,229,332)	130,025

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ტარიელაძე



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “თბილმიკროკრედიტი”
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		1,076,777	2,224,870
საპროცენტო ხარჯი		(879,527)	(1,186,681)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	12	197,250	1,038,189
საკრედიტო ზარალი	7	(1,134,557)	(468,994)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)		(937,307)	569,195
საკრედიტო ზარალის შემდგომ			
მიღებული ჯარიმები და საურავები		67,558	92,231
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	36,996	241,017
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14	82,186	702,430
არასაპროცენტო შემოსავალი		186,740	1,035,678
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	15	(813,446)	(271,039)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(40,596)	(128,978)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(624,723)	(956,061)
არასაპროცენტო ხარჯი		(1,478,765)	(1,356,078)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(2,229,332)	248,795
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(118,770)
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,229,332)	130,025
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,229,332)	130,025

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს "თბილმიკროკრედიტი"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 10)	რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017	1,796,565	241,680	245,018	2,283,263
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	130,025	130,025
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(673,004)	(673,004)
ცვლილება რეზერვში	-	93,500	-	93,500
კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანით	146,943	-	-	146,943
31 დეკემბერი 2018	1,943,508	335,180	(297,961)	1,980,727
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(2,229,332)	(2,229,332)
31 დეკემბერი 2019	1,943,508	335,180	(2,527,293)	(248,605)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “თბილმიკროკრედიტი”
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 10)	რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017	1,796,565	241,680	245,018	2,283,263
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	130,025	130,025
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(673,004)	(673,004)
ცვლილება რეზერვში	-	93,500	-	93,500
კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანით	146,943	-	-	146,943
31 დეკემბერი 2018	1,943,508	335,180	(297,961)	1,980,727
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(2,229,332)	(2,229,332)
31 დეკემბერი 2019	1,943,508	335,180	(2,527,293)	(248,605)

ხელმოწერილია და ნებდართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს "თბილმიკროკრედიტი"
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე:		(2,229,332)	248,795
ცვეთა და ამორტიზაცია	16	30,699	35,936
საპროცენტო შემოსავალი	12	(1,076,777)	-
საპროცენტო ხარჯი	12	879,527	-
საკრედიტო ზარალი		1,134,557	468,994
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	15	813,446	271,039
საოპერაციო საქმიანობიდან გამოყენებული/(მიღებული) ფულადი სახსრები		(447,880)	1,024,764
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
კლიენტებზე გაცემული სესხების შემცირება / (ზრდა)		4,052,287	(29,619)
ფასიანი ქაღალდების ზრდა / (შემცირება)		-	(5,423)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება		7,762	22,286
სხვა აქტივების შემცირება		(29,068)	342,071
სხვა ვალდებულებების შემცირება		(27,771)	(8,454)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,555,330	1,345,625
მიღებული პროცენტი		1,083,056	-
გადახდილი პროცენტი		(943,300)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(118,770)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,695,086	1,226,855
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(39,598)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(4,735)	(3,539)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(4,735)	(43,137)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		8,333,342	7,906,506
სესხის დაფარვა		(22,184,288)	-
გაცემული დივიდენდები		-	(673,004)
რეზერვის შექმნა		-	93,500
კაპიტალის ზრდა		-	146,943
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული / (შემოსული) წმინდა ფულადი სახსრები		(13,850,946)	7,473,945
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(10,160,595)	8,657,663
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	11,029,584	2,458,710
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(326,903)	(86,789)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	542,086	11,029,584

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე



10-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “თბილმიკროკრედიტი”
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე:		(2,229,332)	248,795
ცვეთა და ამორტიზაცია	16	30,699	35,936
საპროცენტო შემოსავალი	12	(1,076,777)	-
საპროცენტო ხარჯი	12	879,527	-
საკრედიტო ზარალი		1,134,557	468,994
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	15	813,446	271,039
საოპერაციო საქმიანობიდან გამოყენებული/(მიღებული) ფულადი სახსრები		(447,880)	1,024,764
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
კლიენტებზე გაცემული სესხების შემცირება / (ზრდა)		4,052,287	(29,619)
ფასიანი ქაღალდების ზრდა / (შემცირება)		-	(5,423)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება		7,762	22,286
სხვა აქტივების შემცირება		(29,068)	342,071
სხვა ვალდებულებების შემცირება		(27,771)	(8,454)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,555,330	1,345,625
მიღებული პროცენტი		1,083,056	-
გადახდილი პროცენტი		(943,300)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(118,770)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,695,086	1,226,855
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(39,598)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(4,735)	(3,539)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(4,735)	(43,137)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		8,333,342	7,906,506
სესხის დაფარვა		(22,184,288)	-
გაცემული დივიდენდები		-	(673,004)
რეზერვის შექმნა		-	93,500
კაპიტალის ზრდა		-	146,943
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული / (შემოსული) წმინდა ფულადი სახსრები		(13,850,946)	7,473,945
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(10,160,595)	8,657,663
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	11,029,584	2,458,710
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(326,903)	(86,789)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	542,086	11,029,584

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 მაისს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ალექსანდრე ტარიელაძე

1. ძირითადი საქმიანობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თბილმიკროკრედიტი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანია მუშაობს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 17 ოქტომბრის №506 განკარგულებით (სარეგისტრაციო ნომერი - 241008) მინიჭებული საქმიანობის უფლებით. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი №147, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ლუსია არუთინოვა	25.31%	16.3934 %
თემურ პაპიაშვილი	22.77%	18.0328 %
ალექსანდრე ტარიელაძე	17.72%	18.0328 %
ნანა ტარიელაძე	16.44%	3.2787 %
დავით კურდღელაძე	6.39%	6.5574 %
თეა კაციტაძე	3.79%	-
ალექსანდრე ხმაღაძე	2.53%	3.2787 %
კახაბერ ხუციშვილი	2.53%	3.2787 %
ზაზა ლომიძე	1.26%	1.6393 %
მარინე ხუციშვილი	1.26%	1.6393 %
სოფიო ბაკურაძე	-	8.1967 %
დავით ქარელი	-	6.5574 %
თამარ კოჭლამაზაშვილი	-	6.5574 %
მზია ჯანაშვილი	-	3.2787 %
ილონა ყიფიანი	-	1.6393 %
ნანა ოქროპირიძე	-	1.6393 %
სულ	100%	100%

კომპანიის მმართველ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის ყოველდღიურ აქტივობებს მართავს კომპანიის დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეა ნუნუ გიგაური.

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 7 ოქტომბერს, როგორც მცირე სესხების გამცემი ფიზიკურ პირებზე უზრუნველყოფით ძვირფასი ლითონებით, ოქროთი, სატრანსფორტო საშუალებებით და მესამე პირებით.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,229,332 ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მთლიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 248,604 ლარით გადააჭარბა.

როგორც ეს 21-ე შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს ჰქონდა მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი კომპანიაზე, რამაც ხელმძღვანელობის შეფასებით, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადობას და მის უნარს საქმიანობა გააგრძელოს ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, კომპანია განაგრძობს ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას და მუდმივად ცდილობს სიახლეების დანერგვას. საერთაშორისო ინვესტორების მოძიება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე სტრატეგიულ მიზანს, რათა მოხდეს შედარებით იაფი ინვესტიციების მოზიდვა და ხელმისაწვდომი პროდუქტების გენერირებით არსებული ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. კომპანიამ 2019 წლის 12 დეკემბერს და 2020 წლის თებერვალში მიიღო არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხები ყოველგვარი კონკრეტული მიზნობრიობის გარეშე, მისივე დირექტორ ალექსანდრე ტარიელაძისგან 223,000 აშშ დოლარისა 127,000 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად. კომპანიის გადახდისუნარიობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების გადახდა მოხდება მხოლოდ ყველა სხვა არაპარტნიორ კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას აქვს რესურსი გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფუნქციონალური და წარდგენის ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონკვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნეს მოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსვალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე საფლობად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნეს მოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნეს მოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნეს მოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას. „ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია აფასებდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოვლენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადადადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

თუ დადგინდებოდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, ხდებოდა ზარალის ოდენობის დაანგარიშება, რაც წარმოადგენდა სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (ჯერ არ მომხდარი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დადისკონტებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისთვის სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და ინვესტიციის ღირებულებას შორის. აქტივის ღირებულება მცირდებოდა და ზარალი აისახებოდა მოგება ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით შემცირებულ ძირზე, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენებოდა გაუფასურების ზარალის ოდენობის დასათვლელად სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან და ხდებოდა უზრუნველყოფების რეალიზაცია ან კომპანიისათვის გადაცემა. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდებოდა და ეს შემცირება ობიექტურად უკავშირდებოდა გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მოგება ზარალის ანგარიშში, გარდა გასაყიდად არსებული ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც სამართლიან ღირებულებაში ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა კომპანიის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემის მიხედვით, რაც მოიცავდა საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა აქტივის სახეობა, ინდუსტრია, უზრუნველყოფილი საგნის სახეობა, ვადადადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო). რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ხოლო აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მარკენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	ცვეთის განაკვეთი და მეთოდი
კომპიუტერული ტექნიკა	20% შემცირებადი ნაშთით
სატრანსპორტო საშუალებები	20% შემცირებადი ნაშთით
შენობა-ნაგებობა	5% შემცირებადი ნაშთით
მიწა	არ იცვითება

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას. არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოკლევადიანი იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობის (საოფისე ფართი) იჯარისთვის. მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოადგენს დივიდენდიდან შექმნილ რეზერვს.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევია.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც იზომება ამორტიზირებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც არის მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული განაკვეთი ფინანსური ინსტრუმენტის სრული სასიცოცხლო ვადით ან ნაკლებით, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კალკულაცია ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოიცავს დამატებით საკომისიოებს და ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტთან და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ ითვალისწინებს მომავალ შესაძლო დანაკარგებს. ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ შემთხვევაში თუ კომპანია შეცვლის გადახდების ან თანხის მიღების პირობებს. კორექტირებული საბალანსო ღირებულება ითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი ან შემოსავალი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მაშინ როდესაც ფინანსური აქტივის ღირებულება მცირდება შესაძლო დანაკარგების ანარიცხების გამო, საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიცებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საკომისიო შემოსავლები

კომპანია იღებს საკომისიო შემოსავლებს კლიენტებზე გაწეული მომსახურებებიდან. საკომისიო შემოსავალი შეიძლება დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

საკომისიო შემოსავლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებიდან

საკომისიო შემოსავლები პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება პერიოდის განმავლობაში. სესხების საკომისიო გადასახადები გადავადებულია (ნებისმიერ დამატებით ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით.

საკომისიო შემოსავლები ცალკეული გარიგების მომსახურებიდან

კლიენტის მიერ ცალკეული ტრანზაქციებისგან წარმოქმნილი საფასური აღიარებულია ძირითადი გარიგების დასრულებამდე. საფასურის ან კომპონენტების გარკვეული კომპეტენციის მქონე საფასურის კომპონენტები აღიარებულია შესაბამისი გარიგების მომსახურების შესრულების შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება როგორც ფასს 9-ის ასევე ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობის და ვადების და უზრუნველყოფილი საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე.

კომპანიას აქვს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები. ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან. კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხების დათვლისას ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით და არ ითვალისწინებს ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების სახელმძღვანელოს, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებულ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები გამოყენებული იქნება. მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადავადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განიცემული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

ახალი სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 ანაცვლეს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. არსებობს აღიარების გამოწვევები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

5. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების

საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

კომპანიამ გამოიყენა მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლება იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენდა არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავდა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობის (საოფისე ფართი) იჯარისთვის. მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ყველა იდენტიფიცირებული საიჯარო ხელშეკრულება არის მოკლევადიანი, შესაბამისად ფასს 16-ის მიღებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები

ბასს 12-ის ცვლილებები აზუსტებს, რომ დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით თუ სად აღიარა კომპანიამ წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა განაწილებული მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბასს 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია უფრო ადრე გამოყენება. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგების ცვლილება, რომელიც აღიარებულია წარმოდგენილი ადრინდელი შესადარის პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	343,166	10,648,547
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	29,836	269,911
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	114,393	82,810
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	54,691	28,316
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	542,086	11,029,584

7. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები	1,925,822	6,830,814
ფიზიკური პირებისათვის მიცემული	776,475	129,255
სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება	20,744	352,914
დაირცხული პროცენტი		
ნაშთი წლის ბოლოს	2,723,041	7,312,983
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების	(1,510,466)	(468,994)
გამო ანარიცხები რეზერვში		
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	1,212,575	6,843,989

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სამომხმარებლო სესხი	1,678,243	5,757,812
ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს სესხები	642,129	1,202,257
ლომბარდი	16,182	-
სხვა სესხები	365,743	-
დაირცხული პროცენტი	20,744	352,914
ნაშთი წლის ბოლოს	2,723,041	7,312,983
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების	(1,510,466)	(468,994)
გამო ანარიცხები რეზერვში		
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	1,212,575	6,843,989

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში შეადგენს:

	2019	2018
1 იანვარი	468,994	-
წლის დარიცხვა/უკუბრუნვა	1,041,472	468,994
31 დეკემბერი	1,510,466	468,994
ინდივიდუალური გაუფასურება	-	-
ერთობლივი გაუფასურება	1,041,472	468,994
სულ გაუფასურება	1,510,466	468,994

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

31 დეკემბერი 2019	იპოთეკური სესხი	ექსპრეს იპოთეკური	ავტოლომობარდი	ოქროს ლომობარდი	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული	1,095,336	11,364	61,932	17,715	1,186,348
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	-	-	-	-	-
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	-	-	-	-
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-	-	-
ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც ერთობლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება	-	-	-	-	-
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	-	-	-	-
31-180 დღით	37,466	-	-	-	37,466
ვადაგადაცილებული 180 დღეზე მეტით	1,486,359	10,000	2,868	-	1,499,227
ვადაგადაცილებული	2,619,161	21,364	64,800	17,715	2,723,041
გაუფასურების უზრუნველყოფის გამოკლებით	(1,497,598)	(10,000)	(2,868)	-	(1,510,466)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,121,563	11,364	61,933	17,715	1,212,575
31 დეკემბერი 2018	იპოთეკური სესხი	ექსპრეს იპოთეკური	ავტოლომობარდი	ოქროს ლომობარდი	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული	5,583,404	-	63,065	21,878	5,668,347
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	-	-	-	-	-
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	643,779	-	-	12,173	655,952
31-180 დღით	-	-	-	-	-
ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც ერთობლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება	-	-	-	-	-
30 დღეზე ნაკლებით	-	-	-	-	-
ვადაგადაცილებული	641,575	-	-	-	641,575
180 დღეზე მეტით	335,110	-	11,999	-	347,109
ვადაგადაცილებული	7,203,868	-	75,064	34,051	7,312,983
გაუფასურების უზრუნველყოფის გამოკლებით	(447,463)	(10,000)	(11,531)	-	(468,994)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	6,756,405	(10,000)	63,533	34,051	6,843,989

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა დამატებითი გაძლიერება

31 დეკემბერი 2019	იპოთეკური სესხი	ექსპრეს იპოთეკური	ავტო ლომბარდი	ოქროს ლომბარდი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	-	-	-
სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია	2,619,161	21,364	64,800	17,715	2,723,041
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების გამო დანაკარგების ანარიცხები რეზერვში	(1,497,598)	(10,000)	(2,868)	-	(1,510,466)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,121,563	11,364	61,933	17,715	1,212,575

31 დეკემბერი 2018	იპოთეკური სესხი	ექსპრეს იპოთეკური	ავტო ლომბარდი	ოქროს ლომბარდი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	-	-	-
სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია	7,203,868	-	75,064	34,051	7,312,983
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების გამო დანაკარგების ანარიცხები რეზერვში	(447,463)	(10,000)	(11,531)	-	(468,994)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	6,756,405	(10,000)	63,533	34,051	6,843,989

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვარი	302,448	-	51,439	40,031	32,226	426,143
შეძენა	-	28,983	6,500	1,655	2,459	10,614
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	302,448	28,983	57,939	41,686	34,685	465,741
შეძენა	-	-	-	-	-	-
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	302,448	28,983	57,939	41,686	34,685	465,741
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 1 იანვარი	15,122	-	19,320	20,527	13,211	68,180
ცვეთის ხარჯი	14,366	5,797	7,461	2,852	4,294	34,770
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	29,488	5,797	26,781	23,379	17,505	102,950
ცვეთის ხარჯი	13,648	4,637	6,232	2,746	3,436	30,699
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	43,136	10,434	33,013	26,125	20,941	133,650
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	287,325	-	32,119	19,504	19,015	357,963
2018 წლის 31 დეკემბერი	272,959	23,186	31,158	18,307	17,180	362,790
2019 წლის 31 დეკემბერი	259,311	18,549	24,926	15,561	13,744	332,091

9. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სხვა მოთხოვნები	-	19,094
სხვა ფინანსური აქტივები სულ	-	19,094
დასაკუთრებული ქონება	119,785	210,453
ავანსები	259,398	120,568
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	379,183	331,021
სხვა აქტივები სულ	379,183	350,115

10. საწესდებო კაპიტალი და სხვა რეზერვები

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 7 ოქტომბერს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი არის 202453219. საწესდებო კაპიტალი 2018 და 2019 წელს შეადგენს 1,943,508 ლარს. 2018 წლის განმავლობაში კომპანია მეწილეებმა მოახდინეს კაპიტალის ზრდა ფულადი შენატანებით 146,943 ლარის ოდენობით. სხვა რეზერვები წარმოადგენს დივიდენდიდან შექმნილ რეზერვს.

11. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხი უცხოურ ვალუტაში ფიზიკური პირისგან	1,115,742	7,175,676
სესხი უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირისგან	995,119	622,557
სესხი ლარში იურიდიული პირისგან	45,770	8,797,276
სესხი ლარში ფიზიკური პირისგან	-	96,730
სუბორდინირებული სესხი	639,497	-
ნაშთი წლის ბოლოს	2,796,128	16,692,239

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ძირის თანხა	2,730,396	16,571,591
დარიცხული პროცენტი	65,732	120,648
ნაშთი წლის ბოლოს	2,796,128	16,692,239

სუბორდინირებული სესხი

2019 წლის 12 დეკემბერს კომპანიამ მიიღო არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხი, ყოველგვარი კონკრეტული მიზნობრიობის გარეშე, მისივე დირექტორ ალექსანდრე ტარიელაძისგან 223,000 აშშ დოლარის ოდენობით 6 წლის ვადით, 2025 წლის 12 დეკემბრამდე წლიური 8.5%-ის ოდენობით. კომპანიის გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხის გადახდა მოხდება მხოლოდ ყველა სხვა არაპარტნიორ კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

შემოსავალი პროცენტებიდან მოიცავს	2019	2018
შემოსავალი პროცენტებიდან ამორტიზებული	-	-
დირეგულაციით აღნუსხულ ფინანსურ აქტივებზე	-	-
კლიენტებზე გაცემული კრედიტები	1,076,777	1,910,322
განთავსებული სახსრები	-	314,548
სულ შემოსავალი პროცენტებიდან	1,076,777	2,224,870

12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯები მოიცავს	2019	2018
საპროცენტო ხარჯები ამორტიზებული	-	-
ღირებულებით აღნუსხულ ფინანსურ ვალდებულებებზე		
სხვა კომპანიებისგან	(491,419)	(425,213)
ბანკებიდან ნასესხებ სახსრებზე	(388,108)	(761,468)
სულ ხარჯი პროცენტებიდან	(879,527)	(1,186,681)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	197,250	1,038,189

13. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს სესხის გაცემისა და ძირის გაზრდის საკომისიო თანხებს.

14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს: სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით, მიღებული დივიდენდები, მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან, მოგება/(ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან, მოგება/(ზარალი) ქონების გაყიდვიდან, სხვა არასაპროცენტო შემოსავლები.

15. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან

	2019	2018
რეალიზებული საკურსო სხვაობა	326,903	86,789
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	486,543	184,250
სულ წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	813,446	271,039

16. ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
ხელფასის ხარჯი	306,417	505,228
იჯარის ხარჯები	71,922	109,272
კომუნალური ხარჯები	65,795	32,842
სასამართლოს ხარჯები	35,188	1,307
ცვეთის ხარჯები	30,699	35,936
რეკლამის ხარჯები	20,359	29,535
აუდიტის ხარჯები	15,930	6,613
პრემიის ხარჯები	13,568	96,481
საფოსტო ხარჯები	11,351	53,270
საგადასახადო ხარჯები	8,910	1,291
მივლინების ხარჯები	4,273	7,985
კონსულტაციის ხარჯები	2,500	-
საკანცელარიო ხარჯები	1,412	3,039
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	1,488
ინვენტარის ხარჯები	-	290
სხვა ხარჯები	36,399	71,484
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	624,723	956,061

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	457,559	10,731,357
ფასიანი ქაღალდები	40,533	52,869
გაცემული წმინდა სესხები	1,212,575	6,843,989
სხვა აქტივები	379,183	350,115
მიღებული სესხები	2,730,396	16,571,591
გადასახდელი პროცენტები	65,732	120,648
სხვა ვალდებულებები	6,481	16,945

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე ძირითადად მომდინარეობს კომპანიის ნადდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც წარდგენილია მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

31 დეკემბერი 2019

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	169,084	370,231	946	1,825	542,086
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	956,595	255,980	-	-	1,212,575
სულ ფინანსური აქტივები	1,125,679	626,211			1,754,661

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
მიღებული სესხები	45,299	2,567,423	117,674	-	2,730,396
სულ ფინანსური ვალდებულებები	45,299	2,567,423			2,730,396
ღია საბალანსო პოზიცია	1,170,978	3,193,634			4,485,057

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2018

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	111,126	10,918,458	-	-	11,029,584
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	5,194,666	1,649,323	-	-	6,843,989
სულ ფინანსური აქტივები	5,305,792	12,567,781	-	-	17,873,573

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
მიღებული სესხები	8,837,000	7,734,591	-	-	16,571,591
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,837,000	7,734,591	-	-	16,571,591
ღია საბალანსო პოზიცია	3,531,208	4,833,190	-	-	1,301,982

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	აშშ დოლარის გავლენა 2019		აშშ დოლარის გავლენა 2018	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება
მოგება/(ზარალი)	958,090	(958,090)	1,449,957	(1,449,957)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის საფრთხე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გარდა)	457,559	111,126
კლიენტებზე გაცემული კრედიტები, წმინდა	1,212,575	6,843,989
ნაშთი წლის ბოლოს	1,670,134	6,955,115

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკავშირებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31 დეკემბერი 2019

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
კლიენტებზე გაცემული სესხები	60,917	1,151,658	-	1,212,575
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	60,917	1,151,658	-	1,212,575
ფული და ფულის ეკვივალენტები	542,086	-	-	542,086
სხვა აქტივები	419,716	-	-	419,716
სულ ფინანსური აქტივები	1,022,719	1,151,658	-	2,174,377

31 დეკემბერი 2019

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მიღებული სესხები	2,443,626	286,770	-	2,730,396
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულება	2,443,626	286,770	-	2,730,396
სხვა ვალდებულებები	6,481	-	-	6,481
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,450,107	286,770	-	2,736,877
ლიკვიდურობის გარღვევა	(1,427,388)	864,888	-	(562,500)
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(1,427,388)	(562,500)	(562,500)	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(2,382,709)	864,888	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(2,382,709)	(1,517,821)	(1,517,821)	

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2018

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,915,690	1,582,502	1,345,797	6,843,989
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	3,915,690	1,582,502	1,345,797	6,843,989
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,029,584	-	-	11,029,584
სხვა აქტივები	402,984	-	-	402,984
სულ ფინანსური აქტივები	15,348,258	1,582,502	1,345,797	18,276,557

31 დეკემბერი 2018

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მიღებული სესხები	16,071,611	499,980	-	16,571,591
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულება	16,071,611	499,980	-	16,571,591
სხვა ვალდებულებები	16,945	-	-	16,945
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,088,556	499,980	-	16,588,536
ლიკვიდურობის გარღვევა	(740,298)	1,082,522	1,345,797	1,688,021
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(740,298)	342,224	1,688,021	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(12,155,921)	1,082,522	1,345,797	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(12,155,921)	(11,073,399)	(9,727,602)	

18. კაპიტალის ადეკვატურობა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და დაგროვილ კაპიტალს.

2018 წლის 1-ლი სექტემბერიდან კომპანიას ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორიცაა: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, ინსაიდერების კრედიტი, დაგირავებული აქტივები. ამ კოეფიციენტებთან შესაბამისობაში ყოფნა სებ-ის მიერ კონტროლდება. სებ-ის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1,000,000 ლარი 2019 წლის 30 ივნისამდე. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის შესაბამისობა სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნასთან 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწესდებო კაპიტალი	1,943,508	1,943,508
სხვა რეზერვები	335,180	335,180
აკუმულირებული ზარალი	(2,527,292)	(297,961)
კაპიტალში კონვერტირებადი ვალი	639,497	-
საზედამხედველო კაპიტალი დაქვითვამდე	390,893	1,980,727
მინუს: არამატერიალური აქტივები	31,101	26,366
საზედამხედველო კაპიტალი	359,792	1,954,361

18. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

როგორც ცხრილიდან ჩანს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, საზედამხედველო კაპიტალი 1,000,000 ლარზე ნაკლებია.

19. დაკავშირებული მხარეები

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

		2019		2018	
	ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია
საპროცენტო შემოსავალი	მფლობელები და თანამშრომლები	23,635	1,076,777	80,305	2,224,870
საპროცენტო ხარჯი	მფლობელები	100,493	879,527	137,940	1,186,681
ანაზღაურება	მენეჯმენტის ძირითადი პერსონალი	89,479	306,417	88,333	505,228

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

ურთიერთობა		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
		დაკავშირებული მხარის ბალანსი	მთლიანი კატეგორია	დაკავშირებული მხარის ბალანსი	მთლიანი კატეგორია
გაცემული სესხები	მფლობელები და თანამშრომლები	80,305	1,212,575	227,543	6,843,989
მიღებული სესხები	მფლობელები	1,754,794	2,796,128	1,249,612	16,692,239

20. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ექვემდებარება დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვემდებარებოდა არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო შეიძლება კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ- შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმება შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცავდეს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

20. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმძღვას სარჩელები. იყო ერთი შემთხვევა, როდესაც კომპანიას უჩიოდა ყოფილი თანამშრომელი, რომელიც შემცირების შედეგად გათავისუფლდა და სარჩელის ფასი შეადგენდა 60,000 ლარს, თუმცა ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული თანხის კომპანიისთვის დაკისრების ალბათობა ფაქტობრივად ნულის ტოლია. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

კომპანია აწარმოებდა სასამართლო დავებსა და სააღსრულებო (გამოსახლების) პროცესებს მსესხებლებთან, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები. ასევე იმ პირებთან, რომლებიც უკანონოდ ფლობდნენ კომპანიის მიერ დასაკუთრებულ უძრავ ქონებას და უარს ამბობდნენ მათი ნებაყოფლობით გათავისუფლებაზე. საკრედიტო დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული იყო 7 საქმე, რომელთაგანაც კომპანია ჯამურად მოელის 382,970 ლარის შემოსავალს. აღსრულებასა და გამოსახლებასთან დაკავშირებულია 8 საქმე, რომელთაგანაც კომპანია ჯამურად მოელის 818,684 ლარს.

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2020 წლის 27 თებერვალს კომპანიამ მიიღო არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხი, ყოველგვარი კონკრეტული მიზნობრიობის გარეშე, მისივე დირექტორ ალექსანდრე ტარიელაძისგან 127,000 აშშ დოლარის ოდენობით 6 წლის ვადით, 2026 წლის 27 თებერვლამდე წლიური 7.5%-ის ოდენობით. კომპანიის გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხის გადახდა მოხდება მხოლოდ ყველა სხვა არაპარტნიორ კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს ჰქონდა მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი კომპანიაზე.

შპს მისო “თბილმიკროკრედიტის“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ს ა რ ლ ე ვ ი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმკროკრედიტის მმართველობის ანგარიშგება.....	3
კომპანიის შექმნის ისტორია და ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა.....	3
ძირითადი რისკები	5
1. საკრედიტო რისკი.....	5
2. სავალუტო რისკი	6
3. არასაკმარისი დაფინანსების რისკი	6
4. ლეგალური /იურიდიული რეგულაციების გამკაცრების (სამოქმედო გარემოს გაუარესების) რისკი.....	6
5. საოპერაციო საქმიანობის არაეფექტიანად წარმართვის რისკი	7
სამომავლო გეგმები	7




შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის შექმნის ისტორია და ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტი“ დაარსდა 2008 წელს ქ. თბილისში და ოპერირებს მას შემდეგ. 2012 წელს ორგანიზაციამ გახსნა პირველი დამატებითი ფილიალი და გაზარდა სამუშაო არეალი. 2014 წლის ივნისში თბილმიკროკრედიტს გამოეყო და შეიქმნა ახალი სუბიექტი შპს „მისო ფინკრედიტი“

კომპანია დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია სათავო ოფისითა და ერთი ფილიალით. მიმდინარე პერიოდისათვის ფილიალში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, ხოლო დანარჩენი 8 სათავო ოფისში.

დღეისათვის კომპანია წარმოდგენილია შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურით:



შპს მისო თბილმიკოვრედიტის ძირითადი ფუნქციაა მცირე და საშუალო ბიზნესის და ფიზიკური პირების დაფინანსება. ორგანიზაციის დევიზია დაეხმაროს ყველა იმ პირს, ვისაც შეუძლია საკუთარი წარმატებული საქმიანობით დაეხმაროს საკუთარ თავსა და გარშემომყოფებს.

თბილმიკოვრედიტს გააჩნია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული კრედიტის გაცემის და საკრედიტო კომიტეტის პოლიტიკა პროცედურები. ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ პასუხისმგებლობას და მის გავლენას საზოგადოებაზე, რისთვისაც იყენებს *სმარტ კამპეინის კლიენტთა დაცვის პრინციპებს*.


პარტნიორთა გარკვეულ ნაწილს გააჩნია მდიდარი საბანკო-საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის განვითარებაში.

თბილმიკოვრედიტი სარგებლობს ადგილობრივ ბაზარზე არსებული პროგრამული უზრუნველყოფით (ფინექსით), თუმცა თანამედროვე გამოწვევების და გართულებული რეგულაციების ფონზე ტრანსფორმირებს ახალ პროგრამული უზრუნველყოფის იმპლემენტაციას, რათა დააკმაყოფილოს ყველა მიმდინარე მარეგულირებელი მოთხოვნები და მოახდინოს სისტემის ავტომატიზაცია.

მომხმარებლებს მისო სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს და სერვისებს:


- ❖ ავტო და ძვირფასი ლითონების ლომბარდს
- ❖ იპოთეკურ და უგირავნო სესხებს
- ❖ უცხოური ვალუტის კონვერტაციას კონკურენტული კურსით

2019 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი მიზნობრიობის მიხედვით (ლარში):



არსებული უაღრესად მძიმე კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, თბილმკროვრედიტი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს დინამიურობა, იყოს მოქნილი და შესთავაზოს პოტენციურ კლიენტებს მაქსიმალურად კონკურენტული პროდუქტები და პირობები, რაც აძლევს ორგანიზაციას საშუალებას შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა.

კომპანია მუდმივად იყო მომგებიანი და მზარდი. მაგრამ 2019 წელი კომპანიისთვის აღმოჩნდა რთული, რამაც გამოიწვია საკმაოდ დიდი ზარალი.



ორგანიზაციაში დასაქმებულია 12 ადამიანი რომელთაგან ყველა კადრს გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო განათლება - გამოცდილება, ყველა მათგანი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

თითოეული დეპარტამენტის და მენეჯმენტის წევრი აკმაყოფილებს მათთვის შესაბამის მოთხოვნებს და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს კეთილსინდისიერად და შესაძლებლობების მაქსიმუმით.

ძირითადი რისკები

კომპანიის საქმიანობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი რისკები:

1. საკრედიტო რისკი

აღნიშნული რისკი მდგომარეობს არასრულფასოვანი ან არასწორი საკრედიტო პოლიტიკის წარმოებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის

დაუბრუნებლობა და შესაბამისად ზარალი. ამ რისკის ადეკვატური კონტროლისათვის კომპანიას გააჩნია დაკრედიტების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ დაუბრუნებელი სესხების ოდენობას. დაკრედიტების ძირითადი კრიტერიუმი ემყარება მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზს. გარდა ამისა, პრობლემური სესხების ეფექტიანი მართვა და მოქნილი და ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მსესხებლის მიმართ, მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნული რისკის მატერიალიზაციის შესაძლებლობას. საანგარიშგებო პერიოდისათვის 30 და მეტი დღით გადაგადაცილებული სესხები შეადგენდნენ მთლიანი პორტფელის 57.09 %-ს.

2. სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ მოზიდული სახსრები დენომინირებულია ძირითადად აშშ დოლარში, ხოლო განთავსებულია ლარში. ეროვნული ვალუტის კურსის არსებითმა დევალვაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი გადაფასების რეზერვის უარყოფითი მნიშვნელობის ზრდით. აღნიშნული რისკის ეფექტიანი კონტროლისათვის კომპანია აპირებს ვალუტაში მოზიდული რესურსების განთავსებას საფინანსო ინსტრუმენტებში და მათი გარანტიის საფუძველზე ლარის რესურსის მოზიდვას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სავალუტო რისკის მინიმოზაცია მნიშვნელოვნად ზრდის საკრედიტო რესურსის თვითღირებულებას და ამცირებს საკრედიტო ოპერაციების ეფექტიანობას. მიუხედავად ამისა, მომავალ პერიოდში კომპანია გეგმავს ღია სავალუტო პოზიციის ნეიტრალურ ნიშნულზე შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას.

3. არასაკმარისი დაფინანსების რისკი

კომპანია მუდმივად განიცდის დაფინანსების ნაკლებობას. აღნიშნული პრობლემა აწუხებს ყველა საშუალო და მცირე მოცულობის ფინანსურ დაწესებულებას, რადგან საერთაშორისო საფინანსო ბაზრები და შესაბამისად იაფი და გრძელვადიანი რესურსი მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად კომპანიის მიერ სისტემატიურად ხდება კონტაქტი დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ინვესტორებთან, თუმცა დღემდე არცერთი ასეთი მცდელობა წარმატებით არ დასრულებულა. კომპანია კვლავაც გააგრძელებს ინვესტორების მოძიებას და ამ მიზნით მონაწილეობას მიიღებს სექტორისათვის მნიშვნელოვან კონფერენციებსა თუ შეკრებებში.

4. ლეგალური /იურიდიული რეგულაციების გამკაცრების (სამოქმედო გარემოს გაუარესების) რისკი

კომპანიის საქმიანობას შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნას, თუკი მოხდება მარეგულირებელი დაწესებულებების მიერ საქმიანობის შეზღუდვა ან საქმიანობის წარმოების წესების უეცარი გამკაცრება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ ოპერაციების წარმოების შეზღუდვა ან მნიშვნელოვნად გააძვიროს ფინანსური პროდუქტები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, იქონიოს გავლენა მარეგულირებლის გადაწყვეტილებებზე, აღნიშნული პრობლემების თავიდან აცილებისათვის კომპანია აქტიურად მონაწილეობს მიკროსაფინანსო ასოციაციის ფარგლებში მარეგულირებელ ორგანოებთან შეხვედრებში, ცდილობს მაქსიმალურად

შეესაბამებოდა არსებულ რეგულაციებსა და იყოს მზად მომავალი ცვლილებებისათვის საკანონმდებლო სფეროში.

5. საოპერაციო საქმიანობის არაეფექტიანად წარმართვის რისკი

აღნიშნული რისკი მდგომარეობს კომპანიის არასწორად მართვის შესაძლებლობაში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ეფექტიანობა ან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი. ამ ტიპის პრობლემების თავიდან აცილებისათვის მენეჯმენტი ცდილობს მოიზიდოს კომპეტენტური და გამოცდილი კადრები, უკვე არსებულ თანამშრომლებს კი სისტემატიურად უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგები. კომპანია ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ამისათვის მუდმივად აფინანსებს თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს კომპანიის გარეთ. მუდმივად ანალებს საქმიანობის მარეგლამენტირებელ შიდა რეგულაციებს, პერიოდულად ახორციელებს კონკრეტული ოპერაციებისა თუ ფილიალების საქმიანობის შემოწმებას.

სამომავლო გეგმები

საფინანსო სექტორში არსებული მძიმე რეგულაციების მიუხედავად, კომპანია მყარად განაგრძობს თავის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას და მუდმივად ცდილობს სიახლეების დანერგვას. აღნიშნულის განსახორციელებლად კომპანიის თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მიკროსაფინანსო სექტორში არსებულ კონფერენციებსა და საერთაშორისო ღონისძიებებში, რათა მოახდინონ საერთაშორისო გამოცდილების მაქსიმალური უტილიზაცია. ამყარებენ კავშირებს პოტენციურ ინვესტორებთან, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საერთაშორისო ინვესტორების მოძიება თბილმიკროკრედიტის მიმდინარე სტრატეგიული მიზანია, რათა მოხდეს შედარებით იაფი ინვესტიციების მოზიდვა და ხელმისაწვდომი პროდუქტების გენერირება მუდმივად მზარდი კონკურენციისა და ცვალებადი გარემოს პირობებში. თავისი საოპერაციო საქმიანობის განვითარებისა და გაფართოებისთვის კომპანია მუდმივად ეძიებს თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, ასევე რეზიდენტ და უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

დირექტორი



ალექსანდრე ტარიელაძე

შპს მისო “თბილმიკროკრედიტის“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ს ა რ ჩ ე ვ ი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილმიკროკრედიტის მმართველობის ანგარიშგება.....	3
კომპანიის შექმნის ისტორია და ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა.....	3
ძირითადი რისკები	5
1. საკრედიტო რისკი.....	5
2. სავალუტო რისკი	6
3. არასაკმარისი დაფინანსების რისკი	6
4. ლეგალური /იურიდიული რეგულაციების გამკაცრების (სამოქმედო გარემოს გაუარესების) რისკი.....	6
5. საოპერაციო საქმიანობის არაეფექტიანად წარმართვის რისკი	7
სამომავლო გეგმები	7



საქართველოს მიკროფინანსების ასოციაცია
"თბილისი მიკროფინანსები"


შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილისი მიკროფინანსების მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის შექმნის ისტორია და ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თბილისი მიკროფინანსები“ დაარსდა 2008 წელს ქ. თბილისში და ოპერირებს მას შემდეგ. 2012 წელს ორგანიზაციამ გახსნა პირველი დამატებითი ფილიალი და გაზარდა სამუშაო არეალი. 2014 წლის ივნისში თბილისი მიკროფინანსების ასოციაციის და შეიქმნა ახალი სუბიექტი შპს „მისო ფინანსები“

კომპანია დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია სათავო ოფისითა და ერთი ფილიალით. მიმდინარე პერიოდისათვის ფილიალში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, ხოლო დანარჩენი 8 სათავო ოფისში.

დღეისათვის კომპანია წარმოდგენილია შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურით:



შპს მისო თბილმიკროკრედიტის ძირითადი ფუნქციაა მცირე და საშუალო ბიზნესის და ფიზიკური პირების დაფინანსება. ორგანიზაციის დევიზია დაეხმაროს ყველა იმ პირს, ვისაც შეუძლია საკუთარი წარმატებული საქმიანობით დაეხმაროს საკუთარ თავსა და გარშემომყოფებს.

თბილმიკროკრედიტს გააჩნია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული კრედიტის გაცემის და საკრედიტო კომიტეტის პოლიტიკა პროცედურები. ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ პასუხისმგებლობას და მის გავლენას საზოგადოებაზე, რისთვისაც იყენებს **სმარტ კამპეინის კლიენტთა დაცვის პრინციპებს**.


პარტნიორთა გარკვეულ ნაწილს გააჩნია მდიდარი საბანკო-საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის განვითარებაში.

თბილმიკროკრედიტი სარგებლობს ადგილობრივ ბაზარზე არსებული პროგრამული უზრუნველყოფით (ფინექსით), თუმცა თანამედროვე გამოწვევების და გართულებული რეგულაციების ფონზე ტრანსფორმირებს ახალ პროგრამული უზრუნველყოფის იმპლემენტაციას, რათა დააკმაყოფილოს ყველა მიმდინარე მარეგულირებელი მოთხოვნები და მოახდინოს სისტემის ავტომატიზაცია.

მომხმარებლებს მისო სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს და სერვისებს:


- ❖ ავტო და ძვირფასი ლითონების ლომბარდს
- ❖ იპოთეკურ და უგირავნო სესხებს
- ❖ უცხოური ვალუტის კონვერტაციას კონკურენტული კურსით

2019 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი მიზნობრიობის მიხედვით (ლარში):



არსებული უაღრესად მძიმე კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, თბილმიკროკრედიტი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს დინამიურობა, იყოს მოქნილი და შესთავაზოს პოტენციურ კლიენტებს მაქსიმალურად კონკურენტული პროდუქტები და პირობები, რაც აძლევს ორგანიზაციას საშუალებას შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა.

კომპანია მუდმივად იყო მომგებიანი და მზარდი. მაგრამ 2019 წელი კომპანიისთვის აღმოჩნდა რთული, რამაც გამოიწვია საკმაოდ დიდი ზარალი.



ორგანიზაციაში დასაქმებულია 12 ადამიანი რომელთაგან ყველა კადრს გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო განათლება - გამოცდილება, ყველა მათგანი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

თითოეული დეპარტამენტის და მენეჯმენტის წევრი აკმაყოფილებს მათთვის შესაბამის მოთხოვნებს და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს კეთილსინდისიერად და შესაძლებლობების მაქსიმუმით.

ძირითადი რისკები

კომპანიის საქმიანობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი რისკები:

1. საკრედიტო რისკი

აღნიშნული რისკი მდგომარეობს არასრულფასოვანი ან არასწორი საკრედიტო პოლიტიკის წარმოებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის

დაუბრუნებლობა და შესაბამისად ზარალი. ამ რისკის ადეკვატური კონტროლისათვის კომპანიას გააჩნია დაკრედიტების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ დაუბრუნებელი სესხების ოდენობას. დაკრედიტების ძირითადი კრიტერიუმი ემყარება მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზს. გარდა ამისა, პრობლემური სესხების ეფექტიანი მართვა და მოქნილი და ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მსესხებლის მიმართ, მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნული რისკის მატერიალიზაციის შესაძლებლობას. საანგარიშგებო პერიოდისათვის 30 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები შეადგენდნენ მთლიანი პორტფელის 57.09 %-ს.

2. სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ მოზიდული სახსრები დენომინირებულია ძირითადად აშშ დოლარში, ხოლო განთავსებულია ლარში. ეროვნული ვალუტის კურსის არსებითმა დეველვაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი გადაფასების რეზერვის უარყოფითი მნიშვნელობის ზრდით. აღნიშნული რისკის ეფექტიანი კონტროლისათვის კომპანია აპირებს ვალუტაში მოზიდული რესურსების განთავსებას საფინანსო ინსტრუმენტებში და მათი გარანტიის საფუძველზე ლარის რესურსის მოზიდვას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სავალუტო რისკის მინიმიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის საკრედიტო რესურსის თვითღირებულებას და ამცირებს საკრედიტო ოპერაციების ეფექტიანობას. მიუხედავად ამისა, მომავალ პერიოდში კომპანია გეგმავს ღია სავალუტო პოზიციის ნეიტრალურ ნიშნულზე შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას.

3. არასაკმარისი დაფინანსების რისკი

კომპანია მუდმივად განიცდის დაფინანსების ნაკლებობას. აღნიშნული პრობლემა აწუხებს ყველა საშუალო და მცირე მოცულობის ფინანსურ დაწესებულებას, რადგან საერთაშორისო საფინანსო ბაზრები და შესაბამისად იაფი და გრძელვადიანი რესურსი მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად კომპანიის მიერ სისტემატიურად ხდება კონტაქტი დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ინვესტორებთან, თუმცა დღემდე არცერთი ასეთი მცდელობა წარმატებით არ დასრულებულა. კომპანია კვლავაც გააგრძელებს ინვესტორების მოძიებას და ამ მიზნით მონაწილეობას მიიღებს სექტორისათვის მნიშვნელოვან კონფერენციებსა თუ შეკრებებში.

4. ლეგალური /იურიდიული რეგულაციების გამკაცრების (სამოქმედო გარემოს გაუარესების) რისკი

კომპანიის საქმიანობას შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნას, თუკი მოხდება მარეგულირებელი დაწესებულებების მიერ საქმიანობის შეზღუდვა ან საქმიანობის წარმოების წესების უეცარი გამკაცრება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ ოპერაციების წარმოების შეზღუდვა ან მნიშვნელოვნად გააძვიროს ფინანსური პროდუქტები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, იქონიოს გავლენა მარეგულირებლის გადაწყვეტილებებზე, აღნიშნული პრობლემების თავიდან აცილებისათვის კომპანია აქტიურად მონაწილეობს მიკროსაფინანსო ასოციაციის ფარგლებში მარეგულირებელ ორგანოებთან შეხვედრებში, ცდილობს მაქსიმალურად

შეესაბამებოდეს არსებულ რეგულაციებსა და იყოს მზად მომავალი ცვლილებებისათვის საკანონმდებლო სფეროში.

5. საოპერაციო საქმიანობის არაეფექტიანად წარმართვის რისკი

აღნიშნული რისკი მდგომარეობს კომპანიის არასწორად მართვის შესაძლებლობაში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ეფექტიანობა ან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი. ამ ტიპის პრობლემების თავიდან აცილებისათვის მენეჯმენტი ცდილობს მოიზიდოს კომპეტენტური და გამოცდილი კადრები, უკვე არსებულ თანამშრომლებს კი სისტემატიურად უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგები. კომპანია ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ამისათვის მუდმივად აფინანსებს თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს კომპანიის გარეთ. მუდმივად ანალებს საქმიანობის მარეგლამენტირებელ შიდა რეგულაციებს, პერიოდულად ახორციელებს კონკრეტული ოპერაციებისა თუ ფილიალების საქმიანობის შემოწმებას.

სამომავლო გეგმები

საფინანსო სექტორში არსებული მძიმე რეგულაციების მიუხედავად, კომპანია მყარად განაგრძობს თავის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას და მუდმივად ცდილობს სიახლეების დანერგვას. აღნიშნულის განსახორციელებლად კომპანიის თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მიკროსაფინანსო სექტორში არსებულ კონფერენციებსა და საერთაშორისო ღონისძიებებში, რათა მოახდინონ საერთაშორისო გამოცდილების მაქსიმალური უტილიზაცია. ამყარებენ კავშირებს პოტენციურ ინვესტორებთან, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საერთაშორისო ინვესტორების მოძიება თბილმკროკრედიტის მიმდინარე სტრატეგიული მიზანია, რათა მოხდეს შედარებით იაფი ინვესტიციების მოზიდვა და ხელმისაწვდომი პროდუქტების გენერირება მუდმივად მზარდი კონკურენციისა და ცვალებადი გარემოს პირობებში. თავისი საოპერაციო საქმიანობის განვითარებისა და გაფართოებისთვის კომპანია მუდმივად ეძიებს თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, ასევე რეზიდენტ და უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.